საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სველი წერტილების რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

ქ. ბათუმი 08 თებერვალი, 2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი გურამ გვარიშვილი.

სატენდერო კომისიის წევრები: იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ჟანა ჯიბლაძე, შესყიდვების სამსახურის უფროსი გენად აბულაძე.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ირინე ბერიძე, წამყვანი სპეციალისტი ნოდარ აბაკუმოვი.

სხდომას არ ესწრებოდა - სატენდეერო კომისიის წევრი, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი როლანდ ხალვაში.

დღის წესრიგი: აჭარის ა.რ. რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში სველი წერტილების რეაბილიტაციის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის წევრმა გენად აბულაძემ მოახსენა სატენდერო კომისიისას, რომ ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მერაბ ხალვაშის სამსახურებრივი ბარათების: MES 0 16 01252202, MES 3 17 00013318, MES 4 17 00109458 (თან ერთვის) მოთხოვნილია სარემონტო სამუშაოების შესყიდვა. აღნიშნულის საფუძველზე შედგენელი იქნა, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი:

სატენდერო განცხადება:

- ტენდერის ტიპი - ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ტენდერის გამოცხადების თარიღი 08 თებერვალი, 2017 წ;
- წინადადებების დასრულების თარიღი 02 მარტი, 2017 წ;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება - **182 000 ლარი.**
- მითითება წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გათვალისწინებით;
- კლასიფიკატორის დანაყოფი და მისი შესაბამისი CPV 45400000;

- შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ან მოცულობა - მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში;
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ან შესრულების ვადა - ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2017 წლის 31 ივლისისა. ამასთან სასწავლო პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე მიმწოდებელმა სამუშაოები უნდა აწარმოოს პარალელურად სხვადასხვა ობიექტებზე, ხმაურიანი სამუშაოები უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეებში, არასამუშაო საათებში ან დამკვეთთან წინასწარი შეთანხმებით.
- წინადადებით წარმოდგენილი ფასის კლების ბიჯის ოდენობა - 2500 ლარი;
- შესასრულებელი სამუშაოს საგარანტიო ვადა მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან შეადგენს 3 (სამი) წელი.

სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი (იხ. დანართი - 44 გვერდი).

<u>**დაადგინეს:**</u>

1. დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის სხდომაზე წარმოდგენილი ვარიანტი;
2. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2017 წლის 08 თებერვალს.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ჯ. ანანიძე

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გ. გვარიშვილი

სატენდერო კომისიის წევრები: ჟ. ჯიბლაძე

გ. აბულაძე